

რეალიზ. მოგიძღვება?

ელ. მობილობა ანუ E-Mobility გულისხმობს ელექტრო-ენერგიაზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების, როგორცავე ავტომობილები, მინიკუპები, ავტობუსები, მოპედები, და ა.შ., გამოყენებას. აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების ძირითად ენერგიის წყაროს ელექტროენერგია წარმოადგენს, რომელიც ჩვეულებრივ ელექტრო ქსელიდან ან განახლებადი წყაროებიდან (მზე, ქარი და სხვ.) მიიღება. E-Mobility ასევე მოიცავს დამხმარე ინფრასტრუქტურას, როგორცავე დამუხტვადი სადგურები, დამუხტვის ქსელების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, ენერგიის მართვის სისტემები და, რაც მნიშვნელოვანია, გულისხმობს ტრადიციულ წიაღისეულ საწვავზე მომუშავე მანქანებიდან ელექტროენერგიით მომუშავე ავტომობილებზე გადასვლას, რომლის მიზანია ნახშირორჟანგის ემისიების (CO₂) შემცირება, მდგრადობის ხელშეწყობა და წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირება.

მდ. მოგიძღვბის უპირატესობები:

გარემოსდაცვითი სარგებელი:

◆ შემცირებული გამონახობა:

ელექტრომობილებს ნულოვანი გამონახობაქვე განჩინათ, რაც ხელს უწყობს ჰაერის დაბინძურების და სატბურის აირების გამოყოფის შემცირებას. შიგაწვის ძრავიანი (ICE) ავტომობილები — ბენზინის თუ დიზელის საწვავზე მომუშავე ავტომობილები — გამოყოფენ ნახშირორჟანგს (CO₂) და სხვა მავნე აირებს.

◆ ბენზინის საწვავზე მომუშავე ავტომობილები:

ბენზინის საწვავზე მომუშავე ავტომობილი დაახლოებით 2.3 კგ CO₂-ს გამოყოფს ყოველი 1 ლიტრი საწვავის მოხმარებისას; რაც ნიშნავს, რომ ავტომობილი, რომლის წვის საშუალო მჩვენებელია 8 ლ. 100 კმ-ზე, გამოყოფს დაახლოებით 18.4 კგ CO₂-ს ყოველი 100კმ-ს გავლისას;

◆ დიზელის მანქანები:

დიზელის მანქანები, როგორც წესი, ოდნავ უფრო ეკონომიურია, მაგრამ



ყოველი 1 ლ. დიზელის მოხმარებისას გამოყოფს დაახლოებით 2.7კგ. CO₂-ს. დიზელის ძრავიანი ავტომობილი, რომელიც საშუალოდ მოხმარს 7 ლ. 100 კმ-ზე, გამოყოფს დაახლოებით 18.9 კგ CO₂-ს ამ მანძილის გავლისას..

◆ მდგრადობა

ტრადიციული ავტომობილებისგან განსხვავებით, ელექტრომობილები არ გამოყოფენ CO₂-ს. ელექტრომობილებთან დაკავშირებული ემისიები ძირითადად ელექტროენერგიის (ბუნებრივი იარი, ქვანახშირი და სხ. წიაღისეული საწვავი) წარმოების პროცესიდან მოდის, მაგრამ განახლებადი ენერგიის წყაროების (როგორცავე მზე, ქარი, ჰიდრო) შემთხვევაში, გამონახობაქვე შემცირდება იუოს ნულის ტოლი, რაც უზრუნველყოფს ჯამური ემისიების მნიშვნელოვან შემცირებას წიაღისეულ საწვავზე მომუშავე მანქანებთან შედარებით.

გარემოსდაცვითი სარგებელი:



◆ დაბალი საოპერაციო ხარჯები:

ელექტრო მანქანების შენახვა უფრო იაფია, რადგან მათ აქვთ უფრო ნაკლები აგრეგატები და არ მოითხოვენ საპროცესო ზეთის შეცვლას, გამონახობაქვის გამშვები სისტემის ან ამძრავი ღერძის შეცვლას. შედეგად, ტექნიკური მომსახურების ხარჯები უფრო დაბალია ბენზინზე ან დიზელზე მომუშავე ავტომანქანებთან შედარებით.

◆ ენერგოეფექტურობა:

ელექტრომობილები ბევრად უფრო ენერგოეფექტურია, ვიდრე ტრადიციული მანქანები. მაშინ როცა ბენზინისა და დიზელის ძრავები საწვავის ენერგიის მხოლოდ 30-35%-ს გარდაქმნიან ავტომობილის რეალურ მოძრაობად, ელექტრომობილებს შეუძლიათ ელექტროენერგიის 85-90%-ის გარდაქმნა მძიმძრავებულ ძლად, რაც იწვევს ენერგიის ნაკლებ ხარჯვას და გაუმჯობესებულ ეფექტურობას.

◆ საწვავის დაზოგვა:

ელექტროენერგიის ღირებულება გაცილებით დაბალია, ვიდრე

მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ბენზინზე ან დიზელზე. მაგალითად: ბენზინის ავტომობილისთვის, რომლის საწვავის საშუალო მოხმარებაც 8 ლიტრი 100 კმ-ზე, საშუალოდ საწვავი 24 ლიტრს (ბენზინის საშუალო ფასების მისუდვით). დიზელის მანქანისთვის, რომლის მოხმარებაც 100 კმ-ზე საშუალოდ 7 ლიტრია, საწვავი საშუალოდ 22 ლიტრს. ელექტრომობილის (EV) შემთხვევაში, იმავე მანძილის (100კმ.) გასაგლეჯად სჭირდება დაახლოებით 20 კვტ., რაც შეიძლება დაჯდეს დაახლოებით 5-6 ლ (დამოკიდებულია ელექტროენერგიის ტარიფებზე), რაც მას ბევრად უფრო ეკონომიურ გარემოსდაცვითად აქცევს.

◆ სახელმწიფო წამახალისებელი მექანიზმები:

ბევრი მთავრობა სთავაზობს მოსახლეობას სუბსიდიებს, სავადასხადო შეღავათებს და სხვა სტიმულებს ელექტრო მანქანების გამოყენების წახალისებისთვის. ეს წახალისება ხშირად ფარავს მანქანის შეძენის ღირებულების ნაწილს, ასევე სთავაზობს დაბალ სარეგისტრაციო გადასახადს, საბაჟო გადასახადიდან (სრულად ან ნაწილობრივ) განთავისუფლებას, უფასო პარკირებას საზოგადოებრივი პარკირების ადგილებში და სხვა გადასახადების შემცირებას.

გარემოსდაცვითი სარგებელი:

◆ შემცირებული დამოკიდებულება წიაღისეულ საწვავზე:

ელექტრომობილები ხელს უწყობს იმპორტირებულ წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირებას და შეიძლება დაიძუტოს ადგილობრივად ხელმისაწვდომი, განახლებადი ენერგიის წყაროებით, ხელს უწყობს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და ამცირებს დეფიციტის საწვავის გლობალური ფასების რყევების მიმართ.

გარემოსდაცვითი სარგებელი:

◆ ავტომატიზებული ბატარეის ტექნოლოგიის მიღწევები:

ელ.მობილობაზე გადასვლამ უფრო მეტად წახალისა ინოვაციები ენერგიის შენახვისა და ენერგიის მართვის ტექნოლოგიების განვითარება, გააუმჯობესა მათი ტექნიკური საექსპლუატაციო მჩვენებლები: მუშაობა, გაზარდა მათი საექსპლუატაციო ვადა და შეამცირა მათი ხარჯები.



◆ ჭკვიანი (smart) ინფრასტრუქტურა:

ელ. მობილობა დაგეგმიერებულია ჭკვიანი ქსელების და დამუშავებული სადგურების ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, რაც იძლევა ენერგიის გამოყენების ოპტიმიზაციას და უზრუნველყოფს განახლებადი ენერგიის წყაროების ქსელში ინტეგრაციის შესაძლებლობას.

ჯანმრთელობის სარგებელი:

◆ ჰაერის ზარის გაუმჯობესება:

ბენზინზე და დიზელზე მომუშავე მანქანების ნაკლები რაოდენობა საავტომობილო გზებზე ნიშნავს ჰაერის ნაკლებ დაბინძურებას, განსაკუთრებით ქალაქებში.



ემისიების ეს შემცირება ხელს უწყობს რესპირატორული და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემცირებას, და ზოგადად ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

შესაბამისად, ელ. მობილობა არის მნიშვნელოვანი წინადადებული ნაბიჯი მდგრადი, ეკონომიური და სუფთა ტრანსპორტის მომავლისკენ. ელექტრო მანქანების ტექნოლოგიების გაუმჯობესებასთან და ინფრასტრუქტურის გაფართოებასთან ერთად, ელექტრომობილებზე გადასვლა გადამწყვეტ როლს ასრულებს გარემოზე ზემოქმედების შემცირებაში, CO₂ ემისიის შემცირებაში და უფრო მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში.

ელექტრომობილის (EV) ტიპების და დამუშავებული მოწოდებების (EVS) შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დასკანეროთ QR კოდი:



ლიფლეთი მომზადდა ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს მიერ, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის (GEF SGP) ხელშეწყობით, ფოთისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებული პროექტის „მზის ენერგია და მდგრადი ურბანული სივრცეები საქართველოს მერების შეთანხმების (CoM) მუნიციპალიტეტებში“ ფარგლებში.

ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

თბილისი, 0160, დ. გამრეკელის ქუჩა №19,

ოფისი №611, VI სართული

ელ. ფოსტა: eecgeo@eecgeo.org

ვებ. გვერდი: www.eecgeo.org

კავშირი „ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო“

გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის (GEF SGP) თვალსაზრისს.



ელექტრომობილობა

2024 წელი